583
962
ᲛᲐ 2.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 1 (161) 10 იანვარი 1962 წელი

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
2. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
3. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლებისა და მისი ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დატოვების შესახებ.
4. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კ. ა. კრუტიკოვის დანიშვნის შესახებ.
5. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.
6. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოწყობის შესახებ.
7. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ა. მენშიკოვის გათავისუფლების შესახებ.
8. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. თ. დობრინინის დანიშვნის შესახებ.
9. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ.
10. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

11. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
12. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ტ. ლიჩუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
13. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. ზაგლადასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
14. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგების ა. ა. ბეკერის, ნ. ნ. ბუხანკოსა, ი. პ. ვოლოვჩენკოს, ზ. ი. ზაბოტინის, დ. ი. ზაბოტინის, ა. ფ. კომისაროვის, ა. გ. ლისიჩნიკოვის, გ. ა. ნალივაიკოს, ვ. ი. პერვიეცკის, პ. ი. საპუნოვის, გ. ა. სვეტლიჩნის, შ. შ. ხაირულინისა და ნ. ე. ჩეკანოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
15. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯარისკაცების ი. მ. ბობრუშკოსი და გ. ნ. ბელსკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 იანვრის გრძანებულებით, შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

2 მუხლში სიტყვები „გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით“ შეიცვალოს სიტყვებით „გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად“;

14 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „სასამართლო განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სასამართლო განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე“;

15 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ან სათემო“;

21 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა“;

28 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „და სამაზრო“;

მუხლი 29 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 29. საარჩევნო უბნები იქმნება შემდეგი ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 500—3000 მცხოვრებზე“;

მუხლი 30 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 30. სოფლებში ან სოფლების ჯგუფში, რომლებშიც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 100-სა შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები“;

მუხლი 31 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 31. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის შორეულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული ადგილები ჭარბობენ, აგრეთვე მთიან რაიონებში, შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-სა“;

მუხლი 35 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 35. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად იმ ამომრჩეველთადგან, რომლებსაც აქვთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“ და რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, იქმნება საარჩევნო უბნები შორეული მიმოსვლის მატარებლებში, აგრეთვე რკინიგზის დიდ სადგურებში და აეროპორტებში“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

36, 40, 44, 48 და 51 მუხლებში სიტყვები „სოფლებისა და თემების“ შეიცვალოს სიტყვებით „და სოფლების“;

52 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ან სამაზრო“ და დამატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითად სამუშაოდან არჩევნებამდე 30 დღით ადრე ძირიდათი სამუშაო ადგილის მიხედვით ანაზღაურების შენარჩუნებით“;

58 მუხლში სიტყვები „სოფლებსა და თემებში“ შეიცვალოს სიტყვებით „და სოფლებში“ და ამოღებულ იქნას სიტყვა „სამაზრო“;

95 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ან სამაზრო“;

109 მუხლში სიტყვები „დისჯება თაუისუფლების აღკვეთით ორ წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „მიეცემა კანონით დადგენილ სისლის სამართლის პასუხისგებაში“;

მუხლი 110 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 110. თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომელმაც ჩაიდინა საარჩევნო დოკუმენტების სიყალბე, განზრახ არასწორად დაითვალა ხმები ან დაარღვია არჩევნების საიდუმლოება, მიეცემა კანონით დადგენილ სისლის სამართლის პასუხისგებაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 27 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ავღანეთის სამეფო მთავრობას შორის ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1961 წლის 16 ოქტომბერს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 27 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობებისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლებისა და მისი ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

გათავისუფლდეს ალექსანდრე ნიკიტას ძე **აბრამოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კამბოჯაში, დარჩეს რა ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ჯიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კ. ა. კრუტიკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **კრუტიკოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კამბოჯაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ჯიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაუშაულებრივ-დაუდევარი გამოუყენებლობის ან შენახვისათვის სისწორის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად უდიდეს სახსრებს გამოყოფს უახლესი ტექნიკით სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის. ტექნიკამ მნიშვნელოვნად შემსუბუქა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომა, გახადა იგი უფრო ნაყოფიერი და უზარუნველყო საჭირო პირობები სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის, შრომისა და სახსრების ხარჯვის შემცირებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმრავლესობა დიდი მწარმოებლობით იყენებს მანქანებს და ფრთხილად ეპყრობა ტექნიკას.

ამასთან ერთად მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებში არის ფაქტები, რომ მექანიზატორები და თანამდებობის პირნი უყაირათოდ, დაუდეგრად ეპყრობიან ტრაქტორებს, ავტომობილებს, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა წაყრუებით, მანქანები ხშირად არ მიაქვთ შენახვის ადგილებში, ტოვებენ ზამთარში მინდვრად, ხდება მათი კომპლექტის დაშლა.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს ცუდი შენახვისა და მოვლის გამო მცირე მწარმოებლობა აქვს, ხოლო, რაც მთავარია, ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან. ტექნიკისადმი დანაშაულებრივ-დაუდეგარი დამოკიდებულების შედეგად ხდება მანქანების დამტვრევა და გაფუჭება, რის გამო მეურნეობანი იძულებული არიან დამატებითი სახსრები ხარჯონ მთ რემონტზე ან ტექნიკა ნაადრევად გამოდის მწყობრიდან. ხშირად სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ასეთ დამოკიდებულებაში დამნაშავეებს არ ეკისრებათ არც მატერიალური, არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. უყაირათო, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ბარბაროსული დამოკიდებულება ტექნიკისადმი აფერხებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას და ფეტქიურად ნიშნავს სახალხო ქონების ფლანგვას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებასა და შენახვაში უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდეგარი გამოყენება ან შენახვა, რასაც მოჰყვა მათი გაფუჭება ან დამტვრევა, აგრეთვე ამ მანქანების კომპლექტის დაშლა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, რაც ჩადენილია არაერთგზის ან რასაც მოჰყვა დიდი ზარალი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში დამატებები და ცვლილებები ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 29 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოწყობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1962 წლის 16 მარტს თავდება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულება, სსრ კავშირის კონსტიტუციის 54-ე მუხლის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კვირას, 1962 წლის 18 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ა. მენშიკოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ ალექსის ძე **მენშიკოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. თ. დობრინინის დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ანატოლ თევდორეს ძე **დობრინინი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 30 დეკემბერი.

9 კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24 და 26 მუხლების საფუძველზე შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს შემდეგი საარჩევნო ოლქები, აქედან:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

699. თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის პირველი მაისის, ლენინის, ოქტომბრის რაიონები და თიანეთის სასოფლო რაიონი.

700. თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კალინინის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის კალინინის, კიროვის, 26 კომისრისა და სამგორის რაიონები.

701. თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი და წალკის, თეთრი წყაროს, მცხეთის, დუშეთისა და ყაზბეგის სასოფლო რაიონები.

702. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). აჭარის ასსრ.

703. ბორჯომის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბორჯომი). ბორჯომის, ხაშურის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები.

704. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გორი). ქალაქები გორი, ცხინვალი და გორის, ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ქარელის, კასპისა და ლენინგორის რაიონები.

705. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გურჯაანი). გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, თელავისა და ახმეტის რაიონები.

706. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი). ქალაქი ჭიათურა დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოებით და ზესტაფონის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონები.

707. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მესტიის, გალისა და ოჩამჩირის რაიონები.

708. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქუთაისი). ქალაქი ქუთაისი და ტყიბულის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონები.

709. ფოთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ფოთი). ქალაქი ფოთი დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოებით და ცხაკაიას, მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ჩხოროწყუს რაიონები.

710. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, საგარეჯოსა და წითელწყაროს რაიონები.

711. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). სამტრედიის, აბაშის, ვანის, წულუკიძის, წყალტუბოსა და გეგეჭკორის რაიონები.

712. სოხუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი სოხუმი, ტყვარჩელი და სოხუმის, გაგრისა და გუდაუთის რაიონები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბეიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 6 იანვარი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს შემდეგი საარჩევნო ოლქები, აქედან:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

126. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ლენინის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი და ბოლნისის სასოფლო რაიონი.

127. თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონები.

128. თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კიროვის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის კიროვის, სამგორის რაიონები და დმანისის სასოფლო რაიონი.

129. თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონები.

130. თბილისის 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი და თიანეთის სასოფლო რაიონი.

131. ამბროლაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ამბროლაური). ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, ცაგერისა და ტყიბულის რაიონები.

132. ახალციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ახალციხე). ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები.

133. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქი ბათუმი და ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონები.

134. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი). გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და წულუკიძის რაიონები.

135. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გორი). ქალაქი გორი. გორისა და კასპის რაიონები.

136. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ზესტაფონი). ზესტაფონის, თეოჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონები.

137. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ზუგდიდის, მესტიისა და გალის რაიონები.

138. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქუთაისი). ქალაქი ქუთაისი და წყალტუბოს რაიონი.

139. მახარაძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი მახარაძე). მახარაძის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონები.

140. მცხეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მცხეთა). მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონები.

141. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქი რუსთავი და მარნეულისა და სიგნაღის რაიონები.

142. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). სამტრედიის, ვანის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები.

143. სიღნაღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სიღნაღი). სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლისა და წითელწყაროს რაიონები.

144. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი სოხუმი და გაგრისა და გუდაუთის რაიონები.

145. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი ტყვარჩელი და სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონები.

146. თელავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თელავი). თელავის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონები.

147. ხაშურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ხაშური). ხაშურის ბორჯომისა და ქარელის რაიონები.

148. ცხაკაიას საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მიხა ცხაკაია). ქალაქი ფოთი დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოებით და ცხაკაიას, ხობისა და აბაშის რაიონები.

149. ცხინვალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

150. ჭიათურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ჭიათურა). ქალაქი ჭიათურა დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოებით და ორჯონიკიძისა და საჩხერის რაიონები.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

376. სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის აღმოსავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ვაგზლისა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

377. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ვაგზლისა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

378. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). სოხუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ახალშენის, ბესლეთის, გუმისთის, ზემო ეშერის, კელასაურის, მთისუბნის, ოდიშის, ფსხუს, თავისუფლების, შრომის, ეშერის და მაჯარისა).

379. გაგრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გაგრა). გაგრის რაიონი (ქალაქი გაგრა და სასოფლო საბჭოები: მიქელრიფშის, ნაკადულის, ხაშუფსის, ხოლოდნორეჩენსკის, ბაღნარის, განთიადის, ლესელაძის და კოლხიდისა).

380. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გალი). გალის რაიონი (ქალაქი გალი და სასოფლო საბჭოები: რეფოშეშელეთის, ქვემო ბარღების, ზემო ბარღების, ოტობაიის, ფიჩორის, ნაბაკევის, თაგილონის, სიდის, განახლების, ჭუბუთხინჯის, საბერიოს, ლეკუხონას, რეჩხიკინის, დიხაზურგის, ღუმურიშის, პირველი გალის და მზიურისა).

381. გუდაუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთი). გუდაუთის რაიონი (ქალაქი გუდაუთი და სასოფლო საბჭოები: აბდარსუქის, აიკის, ანუხვის, აჭანდარის, პრიმორსკოეს, ყულანურხვის, მწარის, ფსირცხისა და დაბა ახალი ათონი).

382. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი გულრიფში). სოხუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: აჟარის, აზანთის, ამტყელის, ბაღმარანის, განახლების, გულრიფშის, დრანდის, ვლადიმიროვკის, ლათის, მერხეულის, ოქტომბრის და წებელდისა).

383. კალდახვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი კალდახვარი). გაგრის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ლიძავის, ბზიფის, ალაბაძისა) და გუდაუთის რაიონი (სასოფლო საბჭოები: აგარაკის, კალდახვარის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიფშის, ლიხნის, ბარმიშის, ხოფის, ახალსოფლის და დურიფშისა).

384. ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე), ოჩამჩირის რაიონი (ქალაქი ოჩამჩირე და სასოფლო საბჭოები: აძიუბჟის, არაკიჩის, ათარის, სომხური ათარის, ჯგერდის, ქოჩარის, კვიტოულის, ახალკინდღის, კინდღის, ტამიშის, ლაბრის და არადუსისა).

385. ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე). ოჩამჩირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: მოქვის, ჭლოუს, ბესლახუბის, ტყვარჩელის, ილორის, ოხურეს, ფოქვეშის, თხინის, ოტაფის, არასაძიხის, გუფის, აგუ-ბედიისა და რეკისა) და გალის რაიონი (სასოფლო საბჭოები: გუდავის, აჩიგვარის, ბედიის, ჩხორთოლის, ოქუმის, მუხურის და წარჩისა).

386. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ტყვარჩელი). ქალაქი ტყვარჩელი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში

387. ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში — შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები, ზღვის ნაპირი რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე და ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები.

388. ბათუმის შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში — ზღვისპირის ქუჩა, ჰაეკავაძის ქუჩის ლუწი ნომრები, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ზღვის ნაპირი.

389. ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში — ზღვისპირა ქუჩა, ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები, ჰაეკავაძის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე, ქალაქის ფარგალი.

390. ბათუმის ზღვისპირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში — ფრუნზეს ქუჩის კენტი ნომრები (ჩათვლით), ზღვის ნაპირი, ქალაქის ფარგალი.

391. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ქედა). ქედის რაიონი.

392. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქობულეთი). ქობულეთის რაიონი (ქალაქი ქობულეთი, დაბა ოჩხამური და სასოფლო საბჭოები: შუხაესტატის, ლეღვას, ქაქუთის, ქობულეთის, ჯახათის და აჭყისთავისა).

393. ურეხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ურეხი). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ურეხის, ახალშენის, ჩაისუბნის, კახაბრისა და მახინჯაურის სადაბო საბჭო).

394. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხელვაჩაური). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ხელვაჩაურის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყლის, კირნათის, აჭარისადმართის და სარფისა).

395. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხულო). ხულოს რაიონი.

396. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი). ქობულეთის რაიონი (ჩაქვის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ხალას, ბობოყვათის, კვირიკეს, ხუცუბნის, ციხისძირის და ულიანოვკისა).

397. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი შუახევი). შუახევის რაიონი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

631. ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი) ქალაქი ცხინვალი.

632. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი) ცხინვალის რაიონი.

633. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ჯავა) ჯავის რაიონი.

634. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ზნაური). ზნაურის რაიონი.

635. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ლენინგორი). ლენინგორის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბერიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 6 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. მაშო მამედის ასულ **აიბოვას** — მუშას, ქალაქი თბილისი.
2. ლუსიკ ოგანესის ასულ **აკოპიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ხანდო.
3. ციალა მასიკოს ასულ **ბედინეიშვილს** — კოლმეურნეს, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ბუკისციხე.
4. ზარა აბას ყზი **ჰასანოვას** — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი.
5. პელო ნიკოლოზის ასულ **კარკუზაევას** — კოლმეურნეს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელი ალექსეევკა.
6. ლუსვარდ ყაზარის ასულ **ოჰანესიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი დიდი სამსარი.
7. უგაპ ოვაკიმის ასულ **სარქისიანს**—დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი **ბალხო.**
8. მაატაფ ისმაილ ყზი **ხალილოვას** — დიასახლისს, ქალაქ თბილისი სამგორის რაიონის სოფელი კარაჯალარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 29 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ამხ. ი. ბ. ლიჩუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების უხვი და მედეგი მოსავლის მიღების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში მიღწეული წარმატებებისათვის და საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის სტანისლავის ოლქის სნიატინის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარეს ამხ. იუსტინე ტოდორის ძე **ლიჩუკს** მიენიჭოს **სოციალისტური**

შრომის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 31 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. ნ. გ. ზაგლადასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალი წლის თავდადებული შრომისა და სართავი სელისა და სიმინდის უხვი და მედეგი მოსავლის მოყვანაში მიღწეული წარმატებებისათვის ეიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლურს ამხ. ნადეჟდა გრიგოლის ასულ **ზაგლადას** მიენიჭოს სოციალისტური **შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 31 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხანაგების ა. ა. ბეკერის, ნ. ნ. ბუხანკოსა, ი. პ. ვოლოვჩენკოს, ზ. ი. ზაბოტინას, დ. ი. ზაბოტინის, ა. ფ. კოვალიოვას, ა. გ. ლისიჩჩენკოვის, გ. ა. ნალივაიკოს, ვ. ი. პერვიცკის, პ. ი. საპუნოვის, ვ. ა. სვეტლიჩნის, შ. შ. ხარულინისა და ნ. ე. ჩეკანოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის და იმ პროგრესული ხერხების დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“:**

1. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბეკერს** — ალტაის მხარის რუბცოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

2. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ბუხანკოს** — ალტაის მხარის რუბცოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვის“ თავმჯდომარეს.

3. ივანე პლატონის ძე **ვოლოვჩენკოს** — ლიპეცკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის“ დირექტორს.

4. ზინაიდა ივანეს ასულ **ზაბოტინას** — ივანოვოს ოლქის საბჭოთა მეურნეობა „შუისკის“ ძროხების მანქანით წველის ოსტატს.

5. დმიტრი ილიას ძე **ზაბოტინს** — ივანოვოს ოლქის საბჭოთა მეურნეობა „შუისკის“ ძროხების მანქანით წველის ოსტატს.

6. ალექსანდრა ფედოტის ასულ **კომისაროვას** — ორიოლის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პანკოვკის“ მეღორეს.

7. ალექსი ვიორგის ძე **ლისიჩნიკოვს** — ჩიტას ოლქის შილკის რაიონის კოლმეურნეობა „1 მაისის“ მესიმინდე-მექანიზატორს.

8. ვიორგი ანტონის ძე **ნალივაიკოს** — ალტაის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.

9. ვლადიმერ იაკობის ძე **პერვიცკის** — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საცდელი ყუბანის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სიმინდის მომყვანი მექანიზებული რგოლის მერგოლურს.

10. პეტრე იაგორის ძე **სპაუნოვს** — ორიოლის ოლქის დიმიტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიას“ სიმინდის მომყვანი მექანიზებული რგოლის მერგოლურს.

11. ვლადიმერ ანდრიას ძე **სვეტლიჩნის** — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საცდელი ყუბანის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შაქრის ჭარხლის მომყვანი მექანიზებული რგოლის მერგოლურს.

12. შეიხ შაიხატარის ძე **ხაირულინს** — რძისა და ხორცის მესაქონლეობის ორენბურგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.

13. ნინო ეფანტეს ასულ **ჩეკანოვას** — ალტაის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობის აგრონომს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 31 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ჯარისკაცების ი. მ. ბოგრუშკოსი და გ. ნ. ბელსკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

რთულ პირობებში თვითმფრინავიდან პარაშუტით საწვრთნელი ჩამოხტომის დროს გამოჩენილი მამაცობის, გამბედაობისა და ამნანავური დახმარებისათვის **დაჯილდოებულ იქნნ:**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედლით „მამაცობისათვის“

1. ეფრეიტორი იანოშ მიხეილის ძე ბობრუშკო,
2. რიგითი გენადი ნიკოლოზის ძე ბელსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 6 იანვარი.

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

მუშათა დაბა ნაზაროვოს სამხარეო დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნა

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით კრასნოიარსკის მხარის ნაზაროვოს რაიონის მუშათა დაბა ნაზაროვო გარდაქმნილია სამხარეო დაქვემდებარების ქალაქად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (161) 10 იანვარი 1962 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

redakcia: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8., მთავრობის სახლი.

ფასი 10 კაპ.

87787

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 1 (161) 10 января 1962 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: г. Тбилиси, просп. Руставели 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა 69

ტირაჟი 3000

სდ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления делами Совета Министров Грузинской ССР

საქართველოს სსრ
ადმინისტრაციული
ტერიტორიული
ბიბლიოთეკა
ტ * თ ბ ი